ხაშურის მოამბე

№8 (479) 10 მარტი, ორშაბათი, 2025 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

6 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

სხდომაზე საკრებულომ მხარი დაუჭირა პროექტებს:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

შპს „სელფი მობაილისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დაამტკიცა ცვლილებები ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულებაში;

დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიის ბლანკის, წარსადგენი განცხადების და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის ფორმა;

ასევე, დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა;

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალაქ ხაშურში და ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალსოფელში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე;

საკრებულომ მოისმინა და დადებითად შეაფასა:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;

სხდომას ესწრებოდნენ და პროექტები წარმოადგინეს მერიის სამსახურების ხელმძღვანელებმა;

ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში, განხორციელებული ორი მასშტაბური პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას, ახალგაზრდებთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ბააკაშვილი და სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე ანზორ მეგრელიშვილი, ესწრებოდნენ.

პროექტის - „ხაშურის ახალგაზრდული სივრცის განვითარება ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისა და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“ - ფარგლებში მოეწყო და სრულად აღიჭურვა ხაშურის ახალგაზრდული ცენტრი. ასევე ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ტრენინგები, მასტერკლასები და შეხვედრები. აღნიშნულ აქტივობებში 800-მდე ახალგაზრდა ჩაერთო.

ინფორმაციისთვის: ხაშურის ახალგაზრდული სივრცე 2023 წელს, ახალგაზრდობის სააგენტოს და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა.

აგრეთვე, საგრანტო კონკურსის ფარგლებში ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოების ასოციაციამ განახორციელა პროექტი - „ახალგაზრდული

მრჩეველთა საბჭოები მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობისთვის“.

პროექტში 200-მდე ახალგაზრდა ჩაერთო. განხორციელებულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მის პოპულარიზაციას.

- ქალთა საერთაშორისო დღე -

რკინიგზელ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირი(თავმჯდომარე გელა გელაშვილი) მუდამ გვერდში უდგას რკინიგზელებს და ყურადღებას არ აკლებს, რომ მათი პროფესიული საქმიანობა წარმატებით განვითარდეს. ტრადიციულად, ყოველი წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, პროფკავშირი რკინიგზელ ქალბატონებს ფასიან საჩუქრებს უძღვნის და ეს ტრადიცია არც წელს დარღვეულა. ხაშურის რეგიონში, რკინიგზაზე სულ 207 ქალბატონია დასაქმებული, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა პროფკავშირის წევრია.

ქალბატონებმა კმაყოფილება გამოხატეს და მადლობა გადაუხადეს პროფკავშირის ხელმძღვანელობას მათზე ზრუნვისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის № 28 დადგენილ ებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 296,6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით, ირიცხებოდა 7 646,2 ათასi ლარi (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 6 815,6 ათასი ლარი, დელეგირებული, 190,4 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 640,2 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2025 წლის წლის 1 იანვრი მდგომარეობით, 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 52 911,8 ათასი ლარით, რაც 21 615,2 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 45 353,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (45 147,05 ლარი)100,46% შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში, გადასახადების გეგმა შესრულდა 102,12% (26 876,5 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი 102,31%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი 80,77%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 153,65% , სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 97,67%, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 87,85%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 94,85%-ით (2 742,9 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა - 100,80%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 67,96%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 76,96%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან, და საურავებიდან - 96,50%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობის იჯარიდან 73,02%, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 100,03%-ით.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში, შემოსულობების საერთო ოდენობაში

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 33,74%-ს (15 304,7 ათას ლარს), ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო - 290,1 ათასი ლარი, მიღებულია – 290,1 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 9 702 435 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ წრომში და სოფელ ზეკოტაში ასფალტობეტონის გზების მოწყობა, დაბა სურამში, ტაბატაძის ქუჩის მეორე მონაკვეთზე, ასფალტბეტონის გზის მოწყობა, სოფელ ახალსოფლის გზის მოასფალტება, სოფელ ტეზერში ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ. ქინძათისა და სოფ. დუმაცხოვის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, სოფელ ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩების და ასევე, მჭედლიშვილების უბანში გზის მოასფალტება, დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში, მამათა მონასტრის მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა,სოფელ ალიდან სოფელ ნაბახტევამდე მისასვლელი გზის რებილიტაცია, სოფელ თაგვეთში დაზიანებული გზის გასწვრივ ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სამშენებლო სამუშაოები, ქ,ხაშურში ახალციხის N6 და N50 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, დაბა სურამში სარაჯიშვილის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ, ხაშურში თამარ მეფის N3,N4,N5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, სოფელ უწლევში, მისასვლელ გზაზე, ბეტონის საფარის მოწყობა, ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი/ ნაპირდამცავი სამუშაოები).სოფელ ცხრამუხაში შიდა გზის მოასფალტება.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

„ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 195 000 ლარი (სოფელ ნაბახტევში მდინარე ჭერათხეულაზე ხიდის მოწყობისათვის სამუშაოებისათვის).

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ზოგიერთი ოჯახის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის N1439 განკარგულებით გამოიყო 794 000 ლარი (397 ოჯახის დახმარების მიზნით, თითოეულ ოჯახზე 2000 ლარის ოდენობით).

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 589 110,57 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N44 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 206 700 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად.

საქართველოს მთავრობის 30,12,2019 N2735 განკარგულებით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 400 000 ლარი, რომელიც მიმართულია სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაციისათვის.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 48 092,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 90,89%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით თორმეტი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 97,24% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 10,34%), ეკონომიკური საქმიანობა - 90,02% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 47,27%), გარემოს დაცვა - 97,72% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 6,29%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 32,81% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 2,98%), ჯანმრთელობის დაცვა - 80,94% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,45%), დასვენeბა, კულტურა და რელიგია - 79,98% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,01), განათლება - 94,24 (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 8,47%), სოციალური დაცვა - 96,01% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 5,29%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 99,544%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები -91,25%-ით, სუბსიდიები - 95,85%-ით, გრანტები - 99,36%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 97,13%-ით, სხვა ხარჯები - 82,52%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 88,505%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 დეკემბრის №28 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრული იყო 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეtით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია სულ 15 600 ლარი.

ლ. მაჭარაშვილი,
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
ხელმძღვანელი

რედაქციისგან: ცალკეული ა(ა)იპ-ების 2024 წლის ანგარიშები, შესაბამისი ცხრილებითაა და დიაგრამებით შეგიძლიათ იხილოთ მერიის ვებგვერდზე.

- საკრებულოს კომისიებში -

მოქალაქეთა ინიციატივით, ხაშურში, ერთ-ერთ ქუჩას გიორგი მეტრეველის სახელი მიენიჭება

6 მარტს, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ, მიხეილ ჯანაშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა საკითხი ხაშურის მუნიციპალიტეტის ქალაქ ხაშურში და ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალსოფელში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინიციატივის შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის მორიგ სხდომაზე განხილვა.

აგრეთვე, განიხილა მოქალაქეთა ინიციატივა ხაშურში უსახელო ქუჩისათვის ღვაწლმოსილი პედაგოგისა და პოეტის გიორგი მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 19

2025 წლის 06 მარტი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge ;

განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხის (საკითხების) დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი საკითხზე	პასუხისმგებელი კომისია საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
	ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა-შეფასება.	აპრილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი ან/და მერის მიერ დანიშნული პირი.	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
	ბ) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე.		კომისიის თავმჯდომარე	
	ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და საქმიანობის შეფასების შესახებ.	მაისი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის
2	ბ) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეულ საქმიანობის შესახებ.		კომისიის თავმჯდომარე	
3	ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშისა და შეფასების თაობზე.	ივნისი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი.	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების

საბიბლიოთეკო გაერთიანებამ ხაშურის სსიპ ფლევის საჯარო სკოლას უმასპინძლა

ღონისძიება ,,დედა-დედოფალი პოეზიისა”, რომელიც ანა კალანდაძის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, მინისტარის დასახლების ბიბლიოთეკაში გაიმართა.

საინტერესო მოსასმენი იყო თითოეული ბავშვის მიერ ანას ლექსის ხასიათის მათეული აღქმა და ინტონაციის მისადაგება. ასევე- მათ მიერ ანას პოეზიის გავლენით შექმნილი ნახატები. წარმოდგენილი იყო ანა კალანდაძის გარდაცვალებამდე ნაკლებად ცნობილი მისი ბიოგრაფიის მასალები.

ანა კალანდაძის ლექსით შემოგვიერთდა ხაშურის N5 საჯარო სკოლის მოსწავლე ანი ქურდაძე.

ღონისძიება ერთგვარი ხიდი აღმოჩნდა ორ სკოლას შორის (ფლევი-ქვიშხეთი) დამეგობრებისა; ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები (პედაგოგი ირმა მარტინენკო) ინტერესით უსმენდნენ თანატოლებს; გამოიკვეთა გზათა შემდგომი კვეთის მიმართულებები...

დიდი მადლობა ქვიშხეთის საჯარო სკოლის დირექტორს ანა ტაბატაძე -ს თანადგომისთვის.

ფლევის საჯარო სკოლის მოსწავლეებს წარმატებები უსურვა ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა მანანა აბაზაძემ;

საბიბლიოთეკო გაერთიანებამ დამსახურებული სიგელები და საჩუქრები გადასცა ღონისძიების ყველა მონაწილეს.

პოეზიისსაღამოსესწრებოდნენხაშურისსამუზეუმოგაერთიანება,თანამშრომლები; ადგილობრივი მოსახლეობა; მოწვეული სტუმრები.

საბიბლიოთეკო გაერთიანება მადლობას უხდის ფლევის საჯარო სკოლის პედკოლექტივს; დირექტორს, ბატონ ვახტანგ ხაჩიძეს, პედაგოგებს: დარინა ტაბატაძეს, ნორა ხაჩიძეს, ნატალია ღონიკიშვილს ,ბორის სულაქველიძეს, მარიკა ჯელაძეს მომავალი თაობისადმი თბილი, მეგობრული დამოკიდებულებისთვის;

ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისთვის!

კ. გელაშვილი, საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7).

ჭინჭარაულები//ჭინჭარაულების მიწა - ადგ., სათესი, სახნავი, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ბევრი ჭინჭარი იყო ალბათ”, ,,ჭინჭრიანი ადგილი იყო”. პავლაძეებს შორის, 1926 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით, ნახევარი ერგო ლექსო პავლაძეს და ნახევარი ვასილ პავლაძეს .

სოფელი ყიფიანთუბანი

აჩუდენიები - ადგ., სახნავი, სათესი. რკინიგზის პირის მიწები. ეკუთვნის რკინიგზას, რკინიგზის განთავსების ზოლია. ,,რკინიგზის ხაზის ორივე მხარეს გაშენებულია სხვადასხვა ჯიშის ხეები, ბუჩქები ქარსაცავის მსგავსად, რის გამოც ჰქმნის ე.წ. საქშენს, რაც უზრუნველყოფს რკინიგზის ზოლიდან თოვლის გახვეტას. არსებული ტყე-ბუჩქებს შორის არსებობს თავისუფალი სახნავი მიწის ნაკვეთები, რომელიც რკინიგზას ეკუთვნის და უწოდებენ აჩუდენიებს“.

ბეკმის ღელე - ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს.

გვერდუა - ადგ., ფერდობი აღმოსავლეთის მხარეს. პანტის წყლის ზედა ფერდობი. გოჯიხედი - ადგ., სათესი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ ტყემლის ხეები იყო გაშენებული”. ზედა უბანი - ადგ; უბანი.

კიკაძეების უბანი - ადგ; უბანი

კოდიწყარო - ადგ; წყარო ქვედა უბანში.

ლენტოს წყარო - ადგ; წყარო სოფელში, რკინიგზის სადგურთან.

მანჩხაური – ადგ; სასაფლაო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

მანჩხაურის წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი.

ნაძრახი ღელე - ადგ; ღელე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ალი დგას წყალში. ღამე კაცის, ან ცხენიანი კაცის გავლა არ შეიძლებოდა”. ,,ლეგენდის თანახმად, წყალში ალი დგას და ღამით კაცის ან ცხენიანი კაცის გავლა საშიშია“.

ნახვეტარი- ადგ., სახნავი, სათესი სამხრეთის მხარეს, ფშანის სამხრეთით. ,,წყალი, ზემოდან მოვარდნილი, მიწას მოიხვეტავდა”.

ნუშები - ადგ., ვენახი. ,,ტალახაურის წყაროს აღმოსავლეთით, რკინიგზის ზედა მხარეს იყო გაშენებული, თუმცა ნუშის ხე დიდი ხანია აღარ ჩანს“(კ. ხარატიშვილი).

პანტის წყარო - ადგ; წყარო აღმოსავლეთის მხარეს ყიფიანთუბანისა და ბეკმის საზღვარზე. ,,ხალხი ამბობს, პანტა რომ გახმეს ან მოიჭრას წყარო დაშრებაო. კ. ყიფიანს გაუკეთებია წყლის სინჯი თბილისის ლაბორატორიაში და აღმოჩენდა საუკეთესო თვისებების მქონე”. ,,მდებარეობს ყიფიანთუბნიდან ბეკმისკენ მიმავალი გზის სიახლოვეს, ბეკმის ღელის მარჯვენა ნაპირზე. კ. ყიფიანს ლაბორატორიაში გაუშინჯინებია წყალი და საუკეთესო თვისებების აღმოჩენილა“(კ. ხარატიშვილი).

ტალახაური - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს. რკინიგზის სადგურთან ახლოს. ,,სულ ტალახია წყაროს გარშემო”.

ფშანი//ფშანის მიწები - ადგ., სახნავი, სათესი სამხრეთის მხარეს. ,,იფნებით იყო შემოსაზღვრული”.

ფშატები - ადგილი რკინიგზის ნაპირზე. ,,აქ ფშატის ხეებია”. ,,ყიფიანთუბანში რკინიგზის ორივე მხარეს გაშენებულ ხე-ბუჩქებს ფშატებს უძახიან, ტეზერში ეკლებს“.

ქვედა უბანი - ადგ; უბანი.

შოლა - მდინარე სამხრეთის მხარეს, ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხიდან.

ცოცხნარის სათემო საკრებულო

სოფელი ოძისი

აბაზაძეების მიწები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

აბაზაძეების ტყე - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს. ,,საწერეთლოს ესაზღვრებოდა”.

აბაზაძეების წყარო - წყარო.

ანთიმოზის წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი ჩრდილო-დასავლეთის მხრაეს. ,,გოგალაძე იყო”.

ბატონის კაკლები - ადგილი დასავლეთის მხარეს. ,,ზედა უბანში 600-700 წლიანი კაკლის ხეები იდგა. ზოგი დაჭრეს. ეხლა ერთი კაკალია დარჩენილი და ეძახიან ბატონის კაკალს. აბაზაძის იყო”.

ბერის საყდარი - ადგილი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ამბობენ, ბერს უცხოვრიაო. ქვის ნაგებობაა დუღაბის გარეშე. ვიღაცას საქონელი დაეკარგებოდა, აქ მოქონდა ნალი, ზოგს ფული”.

ბლიაძეების მიწა - ადგ; იგივეა, რაც ნავენახარი.

ბუზღელე - ადგ., ღელე.

გამოღმა უბანი//გაღმა უბანი - უბანი. ,,ქვედა უბანში არის გაღმა უბანი. ეძახიან ბუჭულა ბიჭებს აქ მცხოვრობელ გოგოლაძეებს”.

გლახუასეულები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთით: ,,გლახუკა ყოფილა ერთი კაცი, მგონი ბლიაძე”.

გოგოლაურები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს, ქვედა უბანში. ,,გოგოლაძეებს ეკუთვნოდა”.

გოგოლაძეების უბანი - იგივეა რაც გოლიების უბანი.

გოგალაძისეული - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

გოლიები - ადგ., სათესი, წყარო

გოლიების უბანი - უბანი დასავლეთის მხარეს. ,,აქ ცხოვრობდნენ გოგალაძეები. დიდი ხალხი იყო და დაარქვეს გოლიები”. ,,გოგალაძეების უბანს გოლიებს ვეძახდით. გოლიებში ვიყავი, გოლიებში დავინხე შენ საქონელი – იტყოდნენ”.

დევის სორო - ადგილი, ორმო.

დიაკვნის ღელე - ადგ., ღელე, ტყე, გორაკი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,დიაკვანი ყოფილა იქ ვიღაც ადრე. მამაჩემს კი ჰყავდა იქ ფუტკრები, მაგრამ უფრო ადრე ყოფილა”.

დიდი მინდორი//დიდმინდორი - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ახლა ტყეა გაშენებული. იგი რგვალი მინდორია”.

დიდმინდვრის წყარო - წყარო დასავლეთის მხარეს.

დიდი სერი - ადგ., ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,კაჟიან სერსაც უძახიან. ძალიან დიდი სერია. კაჟი მოიპოვება”, ,,კაჟია ბევრი. მოსავალი არ მოდიოდა. ნიჟარებით იყო სავეს, კირქვიანი ადგილია”.

დიდი სვანი - იგივეა რაც სვანები.

დიდწყალი - მდინარე ჩრდილოეთის მხარეს, ჩადის ბიჯნისში.

ეგნატეს ახო - ადგ., ახო.

ეშმაკის ღელე - ღელე ჩრდილოეთის მხარეს. ,,იქ არ შედიოდნენ, ხეს ჭრიდნენ. ერთი კაცი შევიდა. ეშმაკი ნახა. გონზე ვერ მოყავდათ, სამი თვე დაცემული იყო. ნაძრახი ადგილი იყო”.

ვახტანგიანები - უბანი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ხაჩიძეები ცხოვრობენ, მაგათ პაპას რქმევია ვახტანგი. ძალიან ძლიერი კაცი ყოფილა ფიზიკურად”.

ვენახების წყალი - წყარო ჩრდილოეთის მხარეს.

ზედა უბანი - უბანი დასავლეთის მხარეს, ეკლესიის ზემოთ.

ზიბლიკინეების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ხაჩიძეები იყვნენ”.

თავფლა/მ/სხალა - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ალბათ ტკბილი მსხალი იდგა და ამიტომ ეძახდნენ თავფლამსხალს”.

თეთრკლდიანი სერი - ადგ., სერი.

თოფრას ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ტყეა გაშენებული. თოფრა ყოფილა გოგალაძე, რომელსაც ახო გაუკეთებია”.

თხილნარი - ადგ., მთა.

თხილნარის სერი - ადგ., სერი, ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,თხილიც იყო და ამიტომ შეარქვეს”.

ივანე მახარობლის ეკლესია - ადგ., სლოცავი ზედა უბანში. ,,დღეს სკოლაა ამ ტერიტორიაზე აშენებული. ორივე ეკლესია ახლოს არის, მოპირდაპირე სერებზე დგას”.

ივანე მახარობლის წყარო - წყარო. ,,ქვედა უბანშია, გამოდის ეკლესიის გორის ძირთან. ეკლესია აქ დაანგრიეს 20-იან წლების ბოლოს და იქვე ააშენეს ოძისის სკოლა”.

ივანე ნათლისმცემლის ეკლესია - ადგილი, სალოცავი. ,,ნაეკლესიარი მდებარეობს ზედა უბანში. ხის ეკლესია იყო ქვიტკირიზე დაშენებული. დაწვეს 1924 წელს. ძელური იყო”.

ილპროს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ხაჩიძე იყო”.

კანტორის მიწები - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.

კაჟიანი სერი - იგივეა, რაც დიდი სერი.

კახიძეების მიწები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,კახიძე იყო მაგის პატრონი”.

კიკნაძეები - ადგ; უბანი. კიკნაძეების მიწა - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. კიკნაძეების წყარო - ადგ; წყარო

კიკოსწყარო - ადგ; წყარო

კინტრიშების უბანი - ადგ; უბანი. იგივეა რაც კორველეების უბანი.

კობალაღელე//კობალაძის ღელე - ადგ., ღელე. ,,ცივწყაროდან გამოდის, ჩამოდის ოძისში, გოლიების და ვახტანგიანებს შუა”, ,,კობალაძეები ცხოვრებულან ადრე, დღეს აღარ ცხოვრობენ”.

კონტრიშეების ახო - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

კორველეების უბანი - ადგ; უბანი სამხრეთის მხარეს. ,,ხაჩიძეების ზედმეტი სახელია”.

კორველეების წყარო - ადგ; წყარო ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

კოშორის ტყე - ადგ., ტყე

ლაზარიკების ტყე - იგივე რაც კონტრიშეების ახო.

ლაზრიკეების უბანი - იგივეა რაც კორველეების უბანი.

ლუარსაბის წყარო - წყარო ზედა უბანში. “ლუარსები აბაზაძე იყო”.

მაჭარასეულები - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,მაჭარაშვილებისა ყოფილა, ასე იძახიან”.

მახარობელი - ადგილი, სალოცავი, იგივეა რაც ივანე მახარობლის ეკლესია.

მთის გზა - ადგ; გზა

მსხლების ღელე - ადგ., ღელე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ღელე არ არის ჩამონადენები არის. პანტა-მსხლები ბევრი ყოფილა, ახლაც არის.

მუხნარი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს.

ნაბარები//ნაბარევი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ალბათ დაუბარია ვიღაცას. აბაზაძეები ყოფილა, მზითებში გაუტანებიათ”.

ნავენახარი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ბლიაძეების მიწებში ვენახი იყო, ჩემ დროს აღარ იყო”.

ნათლისმცემელი - ადგ., სალოცავი.

ნარუჯები - ადგ., სერი, სათესი

ნასოფლარი - ადგილი.

ნაფუძვრები - ადგ., სახნავი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, კორველეებსა და ზედა უბანს შუაში. ,,ნამოსახლარია. რომ ხნავენ ჩნდება ქვევრის ნაშთები, ბალავრის ნაშთები”.

ნაქერლები - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქედან გადავდივართ დასავლეთ საქართველოში - კორბეულში. იქიდან ამ გზით გადმოდიოდნენ სურამში”. ნაჩეხები//ნაჩეხი ტყე - ადგ., კორომი, ტყე დასავლეთის მხარეს. ,,ზედა უბანში, წყაროს თავზეა. პატარა ჩირგვიანი ყოფილა და დედაჩემს და დეიდაჩემს გაუჩეხია”. ,,აქ ხის მოჭრა არ შეიძლებოდა, არც სოკოს ჭამდნენ აქ მოკრეფილს”.

ნაცარხევი - ადგ., ხევი

ნაცარხევები//ნაცარახოები - ადგ., საძოვარი, სახნავი. ,,მუხები რომ გაიჩეხა, დაწვეს მერე და ახო გააკეთეს”.

ოდილა - ადგილი

ოდილა მიწის თავი - ადგ., სხნავი, საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ოდილა სახელი არის”.

ორღელე - ღელე ჩრდილოეთის მხარეს. შავღელესთან უერთდებ დიდ წყალს.

ოსმანას სერი - ადგ., სერი სამხრეთის მხარეს. ,,აქ ყოფილა ბრძოლა თათრებთან. საფლავის ქვებიც არის. ტყეა ამჟმად გადავლილი”.

პავლუშას ახო - ადგ., ახო დასავლეთის მხარეს.

პანტის მიწა - ადგ., სათესი

პატარა სვანი - ადგ; იგივეა რაც სვანები.

პეტრუას ახო - ადგ., ახო დასავლეთის მხარეს.

რაჟდენის ტბა - ადგილი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,დაჭაოებული ადგილია. რაჟდენი აბაზაძე იყო”. ,,ეტყობა რომ რაღაც იყო. ეხლა აღარ არის”.

რგვალი მინდორი - ადგ., მინდორი ჩრდილოეთის მხარეს.

როზას ჭალები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

სადაოები - ადგ., საძოვარი, ტყე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,დიაკვნის ღელე უნდა გადმოეგდოთ და შეერთებინათ ცედნის წყლისათვის. ამიტომ დაერქვა ეს სადაოები, დავა ჰქონდათ ამაზე”.

სადენეები - ადგილი

სათიხეები - ადგილი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ჭურები ჰქონდათ. ჩემ ბავშვობაში აკეთებდნენ თონეებს, კეცებს, ჭურჭელს”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- წარმატებული თანამოქალაქეები -

თორნიკე ქიმერიძე: მინდა ჩემი წვლილი შევიტანო, როგორც რეგიონული, ასევე, საერთაშორისო უსაფრთხოების და მასობრივი იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში...

ჩვენი გაზეთის რესპონდენტს, რამდენიმე წლის წინ შევხვდი, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. მიუხედავად ჩვენი ერთჯერადი შეხვედრის, იმდენად საინტერესოდ დამამახსოვრა თავი, წლების განმავლობაში, მაინტერესებდა, როგორ გაგრძელდა მისი მომავალი კარიერა. დღეს, სიამაყით მინდა გაგაცნოთ თორნიკე ქიმერიძე- ფიზიკის დოქტორი. თორნიკე ქიმერიძე ჩვენი თანამოქალაქეა, პერსპექტიული ფიზიკოსი, რომლის კარიერაც დღემდე მკაფიოდ წარმოაჩენს მის განსაკუთრებულ დედიკაციას და მჭიდრო ურთიერთობებს საერთაშორისო მეცნიერებათა სამყაროსთან. მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ფიზიკის

დარგში, თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში, რამდენჯერმე იმყოფებოდა შვეიცარიის, იაპონიის გერმანიის და სხვა წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტებში, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა კვლევებში, მუშაობდა სადოქტორო ნაშრომზე. მისი ინტერესები, განსაკუთრებით მოიცავს ბირთვული უსაფრთხოების სფეროს. ეს მცირე ჩამონათვალია მისი მიღწევების და იმდენად ტექნიკური აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც ჰუმანიტარისთვის, მისი არჩევნის, წარმატებების და მიღწევების შესახებ, თავად თორნიკემ ისაუბროს:

-თორნიკე, რამ გამოიწვია შენი დაინტერესება ფიზიკით?

-სამყაროს შექმნის სპეციფიკა იყო პირველი ინტერესი, მეორე - მათემატიკისადმი სიყვარული. მასწავლიდა ზაირა კილასონია, რომელიც ილია ვეკუასი და ნიკო მუსხელიშვილის მოსწავლე იყო, იცოდა როგორც ფიზიკა, ასევე - ასტრონომიაც. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 11-ე კლასში, აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, რესპუბლიკურ კონფერენციაში წარვადგინე ნაშრომი ზეახალ ვარსკვლავებზე და პირველ ადგილზეც გავედი. ძალიან დამაინტერესა ფიზიკამ, თავისი მიკრო და მაკრო სამყაროთი. ობსერვატორიის კონკურსმა, ძალიან დიდი სტიმული მომცა, აქედან დაიწყო პროფესიული ფიქრიც.

-რამდენად პასუხობდა სკოლა, მაშინდელ შენს მოთხოვნებს და კითხვებს, ფიზიკასთან დაკავშირებით?

-ეს იყო ძალიან მცირე ცოდნა, თუმცა, ჩემი მასწავლებლისგან ყოველთვის

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ვიღებდი ჩემს კითხვებზე პასუხს. სკოლის პერიოდში, მაინტერესებდა, როგორ იყო გამოყვანილი ფიზიკის კანონები . სულ ძიების და კითხვის პროცესში ვიყავი, შესაბამისი ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან.

-ასტრონომიის რესპუბლიკური კონფერენცია იქცა დიდ სტიმულად და მოტივაციად, სამომავლო პროფესიის არჩევისას?

- დიახ, ჩავაბარე ხუთი გამოცდა და, სახელმწიფო დაფინანსებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვხვდი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, კერძოდ, ფიზიკა ავირჩიე. პირველი ნაბიჯები რეგიონიდან ჩასულისთვის, საკმაოდ რთული იყო. ფიზიკის შესავალს ალექსანდრე შენგელაია მიკითხავდა, რომელმაც ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს პროფესიულ განვითარებაში. ბაკალავრიატმა მომცა თეორიული ცოდნა ფიზიკა-მათემატიკაში, ამან მომცა ინტერესი, შემიცვალა მიმართულება და თავიდან ბოლომდე ფიზიკის მიმართულებით წავედი. ვცდილობდი, ამერჩია ისეთი პროფესია, რომელსაც პრაქტიკაში გამოვიყენებდი ჩვენს ქვეყანაში და გამოსადეგიც ვიქნებოდი. მეოთხე კურსის დასრულებისას, 2014 წლის ზაფხულში, ჩატარდა საზაფხულო სკოლა, რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, სადაც სან დიეგოს, დრეზდენის და სხვადასხვა ევროპის უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორებიც მონაწილეობდნენ. სწორედ აქ, სამი უნივერსიტეტიდან, ჩემმა ლექტორებმა დამასახელეს საუკეთესო მომხსენებლად. ეს იყო ჩემთვის უდიდესი მოტივაცია და აღიარება. გამარჯვების შემდეგ, გადმომეცა სერტიფიკატი და როგორც გამარჯვებულს, ასევე, სამეცნიერო ვიზიტი შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში. ეს იყო ჩემი პირველი გასვლა ქვეყნიდან. ეს იყო ორკვირიანი ვიზიტი, ციურიხის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, ეს იყო ზოგადი ექსკურსია და ჩართულობა ექსპერიმენტებში. ამ დროს უკვე მაგისტრატურის სტუდენტი ვარ. ამ ვიზიტს უკვე მეორე ვიზიტი მოჰყვა, ისევ შვეიცარიაში პოლ შერერის

ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინა.

ინსტიტუტში და ციურიხის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში, სადაც აინშტაინმა თავისი სადოქტორო ნაშრომი გააკეთა. აქ ვიყავი, როგორც უკვე მკვლევარი. ეს იყო სასწავლო-სამეცნიერო ვიზიტი.

-როგორც ვიცი, აქვე დაასრულე სამაგისტრო ნაშრომი, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა...

-2016 წელს, მთელი სემესტრის განმავლობაში ვიმყოფებოდი შვეიცარიაში, სადაც გავაკეთე ჩემი სამაგისტრო ნაშრომი-მიონების პექტროსკოპიის მეთოდით ვიკვლევდი მაღალტემპერატურულ ზეგამტარობას. ნობელის პრემიის ლაურიატის კარლ ალექსანდრე მიულერის ჯგუფში ვიყავი, რომელმაც იგივე დისციპლინაში მიიღო აღნიშნული პრემია. ჩემმა სამაგისტრო ნაშრომმა, ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა და აღიარეს, რომ ეს ნაშრომი, მაგისტრანტის ნაშრომზე მაღლა იდგა. თბილისში, არ გვქონდა ლაბორატორიები, ექსპერიმენტის მნიშვნელობა და არსი, სწორედ შვეიცარიაში გავიგე.

-საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილებაზე მოგვიყევით, რამდენად ახლოს იყო ეს სამსახური შენს პროფესიასთან?

-ამ დროს, პარალელურად ვმუშაობდი ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოების დეპარტამენტში ინსპექტირებისა და რეაგირების სამმართველოს უფროს სპეციალისტად, ვამოწმებდით რადიაციულ ჰიგიენას. ამ სამსახურმა, ძალიან დიდი როლი ითამაშა, დიდი ცოდნა და გამოცდილება მივიღე, მქონდა განვითარების შესაძლებლობაც. ერთი კვირით ვიყავი გერმანიაშიც პროფესიული კუთხით. ერთწლიანი შესვენება ავიღე მეცნიერებაში და საჯარო სექტორში გადავინაცვლე- ზოგიერთი კურსი საზღვარგარეთაც იყო. 2017 წელს, სამსახურიდან გამომდინარე, მომიწია კომუნიკაცია სოხუმის უნივერისტეტთან, სადაც 2018 წელს დავინიშნე სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკის ინსტიტუტში ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომლად და ვმუშაობდი ასევე, ჩემს სადოქტორო თემაზე. 2019 წელს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრმა გამოაცხადა კონკურსი, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, ქიმიური, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და უშიშროება, სადაც პირველ ადგილზე გავედი. 2019 წლის ბოლოს, ვიღებ შეტყობინებას, რომ იაპონიის მთავრობამ, გამარჯვებული ხუთეულიდან, დამასახელა პირველადგილოსნად. სამწუხაროდ, კოვიდჩაკეტილობის გამო, იმ წელს, ჩემი ვიზიტი ვერ მოხერხდა იაპონიაში. 2023 წელს, ნოემბერში მოხდა ჩემი სამეცნიერო ვიზიტი იაპონიაში, სადაც საგარეო სამინისტროს მიწვევით ვიყავი. ვიმყოფებოდი წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, შევხვდი გამოჩენილ მეცნიერებს და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა. მანამდე კი, 2021 წელს, დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, მომენიჭა ფიზიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი. ამავე წელს, გავხდი დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორი. 2021 მივიღე მონაწილეობა გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც საქართველოში პირველი ქართველი ვარ, რომელმაც არა მარტო მივიღე მონაწილეობა, არამედ გავიმარჯვე კიდეც. 2023 წელს, ცხრა თვის განმავლობაში ვიმყოფებოდი გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო შტაბბინაში, მივლინება მქონდა გერმანიაში წამყვან კვლევით დაწესებულებებსა და ბირთვულ კვლევით ინსტიტუტებში, მქონდა

(დასასრული VI გვერდზე)

-ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევითი ცენტრი.

- წარმატებული თანამოქალაქეები -

თორნიკე ქიმერიძე: მინდა ჩემი წვლილი შევიტანო, როგორც რეგიონული, ასევე, საერთაშორისო უსაფრთხოების და მასობრივი იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში...

(დასასრული)

ვიზიტები უნგრეთსა და ჩეხეთში.

-ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ჯანდაცვის სფეროშიც გაქვთ მუშაობის გამოცდილება, თქვენივე პროფილით, უფრო ზუსტად რომ გვითხრათ?

-2017 წლიდან ვმუშაობდი შპს „ ჯანმრთელობის სახლში“, ვიყავი სამედიცინო ფიზიკოსი და რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ვაკეთებდი უსისხლო ოპერაციებს, მაგალითად, მამაკაცების შემთხვევაში, პროსტატის ჯირკვლის სიმსივნის დროს, რადიოიზოტოპების იმპლანტს ვდებდით პროსტატის ჯირკვალში, ჩემი კომპეტენცია იყო, იზოტოპები გამეთვალა ისე, რომ სიმსივნე დამემარცხებინა. ეს ძალიან რთული იყო, ისე უნდა გამეთვალა დოზა, რომ ზედმეტი რადიაციით არ დამეზიანებინა მიმდებარე უბნები. საკმაოდ შედეგიანი პროცედურა იყო, პაციენტების 97% გამოჯანმრთელდა.

- ჩვენი ინფორმაციით, თქვენ ბირთვული ინჟინერიის მიმართულებითაც მუშაობდით...

-დიახ, გარდა იმის, რომ 2021 წარმოვადგენდი საქართველოს ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის დეპარტამენტში, ამავე დროს, ჩემი გამოცდილება გამოვიყენე და იქ ვმუშაობდი და დავამუშავეთ ახალი თაობის გამასპექტროსკოპია, ბირთვული მასალების ვერიფიკაციისთვის. ამავე დროს, პირველი ქართველი ვარ, რომელმაც ბირთვული ინჟინერია შევისწავლე, პრაქტიკები გავიარე ვენის ტექნოლოგიურ და ატომურ ინსტიტუტში და ჩემი მოხსენების პრეზენტაციის შემდეგ, 2023 წლის თებერვალში, პირადად, გაეროს ატომური ენერგიების საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის რაფაელ მარიანო გროსის მიერ ვარ დაჯილდოვებული.

-ლექციებსაც კითხულობ და მომავალ თაობას, შენს ცოდნას და გამოცდილებას უზიარებ.

-ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ვკითხულობ ლექციებს, ესაა ფიზიკის და უმაღლესი მათემატიკის ლექციების კურსი, საავიაციო უნივერსიტეტში, სადაც ვკითხულობ ზოგად ფიზიკას ინგლისურ ენაზე, ვმუშაობ საჯარო სამსახურში, თბილისის მერიაში.

-შემოთავაზებები ალბათ, ძალიან ბევრი იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან, თუმცა, თორნიკე ქიმერიძე, საქართველოშია. რატომ გააკეთეთ ეს არჩევანი?

-ეს უკავშირდება ფიზიკას და ეროვნულ უსაფრთხოებას. მიუნხენის უნივერსიტეტიდან მქონდა შემოთავაზება, თუმცა, ამ ეტაპზე, საქართველოში დარჩენა ვარჩიე. გამოცდილება, რაც მომცა განვლილმა კურსებმა, გამიჩინა სურვილი, გავხდე საქართველოს წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე. როგორც რეგიონალური, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების და მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო. ესეცაა ბიუროკრატიული სამსახური, თუმცა, ჩემი გამოცდილებები მაძლევს აქ მუშაობის შესაძლებლობის ამბიციას.

თ. ჯავახიშვილი

- რ ე ც ე ნ ზ ი ა -

ჩვენ შემოდგომის ბოლო დღეს ვკრძალავთ!..

სამსახურში მისულს მაგიდაზე მეწამული ფერის წიგნი დამხვდა. დავხედე და თითქოს ძარღვებში სისხლი გამეყინა, ,,უკანმიდევნებული ლამპარი“ - ფიქრია ჭულუხაძე.. წიგნის ყდიდან კი ფიქრიას მოცინარმა სახემ შემომანათა. არადა, სულ სევდიანი მახსოვს, სულ ჩაფიქრებული, შინაგანი ტკივილით სავსე და როცა კი შევხვედრივარ და მომიკითხავს, სულ ეს კითხვა არ მასვენებდა: ნეტავ რა სევდა და ტკივილი აქვს ასეთი ამ გოგოს, ნეტავ რა ნაღველს იტევს მისი გული?

მარტოსული იყო, მარტოსული პოეტი და ამაში თითქოს არც გასაკვირი არა იყო რა, მაგრამ ეს მარტოსულობა მისი შინაგანი ნაღველიდან მოდიოდა. ღმერთო, ხშირად ჩემთვის გულში ესეც გამივლია, ნეტავ, როგორ წარიმართება ამ გოგონას ბედი, რა იქნება ხვალ, ზეგ?

თურმე მან იცოდა, რაც იქნებოდა მომავალში. მისი ყოველი ლექსი დასასრულისკენ სწრაფვაა, ეს ხვედრია , ბედია, რომლის დაღსაც ის ატარებდა. თითქოს ყველაფერი ჰქონდა: მზრუნველი და მოჭირნახულე დედა და დეიდა, განათლება, ენების ცოდნა, დოქტორის ხარისხი, მასწავლებლის სტატუსი, ყველაფერი, რითაც შეეძლო თავი მოეწონებინა, მაგრამ მისთვის ეს ყველაფერი უინტერესო ხდებოდა, აზრს კარგავდა, რადგან ის შინაგანი მე სხვა სივრცეებს ითხოვდა და აქაურობა უინტერესოდ ეჩვენებოდა. ასეა, ,,როცა უაზროდ დაეხეტები, როდესაც შენი თავი გაწუხებს“.

მისთვის არსებობა ყოფილა ტანჯვა, არარსებობა კი გამოსავალი ამ სატანჯველიდან. ეს განცდა ეს შინაგანი სიძლიერე მხოლოდ ერთეულთა ხვედრია და ფიქრია სწორედ ასეთი იყო, დიდ და ღრმა სამყაროს დაატარებდა და ემძიმებოდა ეს მიწიერი ყოფა

ვიყო სიცივით შემოგარსული,
დაე, არყოფნა გადამებინდოს,
იქნებ მომმადლოს მან დასასრული
და არსებობა ჩემი შემინდოს.

კითხულობ ფიქრიას ლექსებს და ერთგვარი დანაშაულის გრძნობა გეუფლება, რომ ჩვენ გვერდით იყო ასეთი ღრმა სულის მქონე პოეტი, რომლის შეცნობა ბოლომდე ვერ შევძელით. ,,ო, დედამიწავ, ისე მარტო ვარ, მიცვალებულებს შევეცოდები“, - წერს და გრძნობ, რა სატანჯველი იყო მისთვის ყოველი დღე, წერს კიდეც ერთ ლექსში, როცა ყოველ ახალ დღეს ახალ გასროლილ ტყვიას ადარებს:

სული ვით ტყვე, ისე შერჩა
წამებს არაფრიანს,
კიდევ ერთი დღე გათენდა,
კიდევ ერთი ტყვია.

ეს სამყარო მისთვის იყო ერთი დიდი სიცარიელე, სადაც ის უცხოდ გრძნობდა თავს ყოველ წამს, ამიტომ იყო ეს დღეები მისთვის აუტანელი, დადიოდა, მუშაობდა სკოლაში, არ ვიცი მისი კოლეგები და მოსწავლეები გრძნობდნენ თუ არა, რომ განსაკუთრებულ ადამიანთან ჰქონდათ საქმე, მაგრამ მისთვის, როგორც ვხვდები, ეს ყველაფერი იყო ერთი დიდი სატანჯველი, ხან ევედრებოდა კიდეც სევდას, რომ გაცლოდა, დაეტოვებინა, მაგრამ ვერასგზით ვერ იშორებდა ფიქრს იმაზე, რომ ამ ცხოვრებას მისთვის ზურგი ექცია.

დაისებს მზერა უნდა დავანდო
დამინდე, სევდავ!
გაძევებული ვარ და მძევალი
ასე დამჩემდა.

ერთადერთი გამოსავალი თუ სულის სიმძიმის ერთგვარი სალბუნი ისევ პოეზია იყო. ბუნებას ამით დაეჯილდოებინა, მისი ყოველი ლექსი მაღალი პოეზიაა და როგორ გული მწყდება, რომ ისე ჩაგვიარა გვერდით, დიდ ლიტერატურულ ასპარეზზე ვერ გავიდა, ვერ გაიცნო ფართო მკითხველმა საზოგადოებამ და ესეც მისი მარტოსულობისა და შინაგანი სევდის გამო.

ისე მარტოა სამყარო მთელი,
ისე მარტო ხარ...
ისევ სიტყვების თუღა გიშველის
ლექსად გაწყობა.
ფიქრის მერანმა არ იცის დაღლა,
მიჰქრის და მიჰქრის,
იცინიან და ტირიან ახლა
სადღაც შენს იქით...

იცოდა, რომ მარტო უნდა გადაეტანა ყველაფერი, სხვისთვის ვითომ ჩვეულებრივი ყოველდღიურობა მისთვის ძნელად გასაძლები რეალობა იყო,,,მარტო, მარტო ,მარტო“- ეს სიტყვები სულ თან დასდევდა. საოცარი კი ის არის, რომ ასეთი მისტიური სევდა, ასე გაჯერება სტრიქონებისა სულის ამ წუხილით, ტერენტი გრანელის შემდეგ და მითუმეტეს, ქალ პოეტთა შორის არც მეგულება. ფიქრია ტრაგიკოსი პოეტია, მისი პოეზია ეს სულის ტრაგედიის ერთგვარი აპოლოგიაა. მან იცოდა და გრძნობდა, რომ ,,სიცოცხლისათვის შემოსაჭდომი მზისკენ გაწვდილი დარჩა ხელები“ ამ ხელებმა მისდა სამწუხაროდ, ჩასაჭიდი ვერ ნახეს, რომ გადარჩენილიყო, მზეს ეძებდა და ვერ პოულობდა, ირგვლივ სიცარიელე იდგა და ამ სიცარიელეში არავის ესმოდა მისი სულის კივილი.

ერთ ლექსში ფიქრია ამბობს: ,,მთვარის სხივებზე ისე გავივლი, არ ჩამიწყდება“. არ გაუწყდება, რადგან მან იცის, როგორ უნდა გაუყვეს ამ სხივებს, მან იცის მთვარის სხივების ენა, ასე ივლიდა დაუსრულებლად, რათა უფლისთვის მიეგნო. აკი წერდა კიდეც: ,,როგორც ბავშვს უნდა დედის მკერდთან, მინდა უფალთან“.

ეს იყო ნუგეში, ერთადერთი. სხვაგვარად ვეღარ გაუძლებდა, ყოველდღიურ ჯვარცმას ,,ბედნიერი ხართ, ვინც ერთხელ კვდებით“, ის ყოველდღე განიცდიდა ამას. და ამიტომაც დაუსვა წერტილი ამ დიდ ტანჯვას.

მე კი სულ მაგონდება 11-12 წლის გოგონა, სხვა ბავშვებთან ერთად, იმხანად განათლების განყოფილებაში დაარსებულ ლიტერატურულ სახელოსნოში თავის ლექსებს გვიკითხავს და არც ეს ლექსები და არც მათი ავტორი არ ჰგავს ჩვეულებრივ გოგო-ბიჭებს, ის სულ სხვა სიღრმის მქონეა.

ცრემლმორეული ვწერ ამ ჩემს გულისთქმას... ამ კრებულმა უნდა გააგრძელოს ფიქრიას სიცოცხლე და მინდა ვუთხრა განსაკუთრებით ცხრამუხის მოსახლეობას: თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ, რადგან ფიქრიას სახით გყავთ პოეტი, რომლის პოეზია ნამდვილად გაუძლებს დროს, უფრო მეტიც, მას აუცილებლად დაინახავს მომავალი.

ფიქრიამ თავისივე ნებით აუკრძალა თავს სიცოცხლე, ამ ტრაგედიაშიც ჩანს მისი სულის სიძლიერე და კიდევ მრავალთაგან - ამ სტრიქონებში:

ეს სიმძიმილი რომ გადაფაროს,
მზეს მწუხარებამ წაართვა ძალა,
პატივი ეცი ამ სევდას ქარო,
ჩვენ შემოდგომის ბოლო დღეს ვკრძალავთ!.

მურად მთვარელიძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.